პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2026 წლის _____ თებერვალი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/03/2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010320010.35.132.016376) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა“ ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 6 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 იანვრის №ბ14. 142600915 ბრძანება) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესის დაწყების თაობაზე დაწყებული, რაც გულისხმობდა ამისათვის საჭირო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას, შესაბამისი სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლებამოვალეობების ახლებურ განსაზღვრას და ჩამოყალიბებას, ასევე შტატების გადაადგილებას ან/და შემცირებას. რეორგანიზაციის ფარგლებში, შემუშავებული იქნა ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები (დებულებები და საშტატო განრიგი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული იქნა ახალი საშტატო ნუსხის დამტკიცება, რომლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2026 წლის 2 მარტი. მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში ასევე, ცვლილება იქნება შეტანილი საშტატო ნუსხაში, რომლის მიხედვითაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპორტის განყოფილება განსაზღვრული იქნება განყოფილების უფროსისა და ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ერთი მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და ერთი პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტით, ნაცვლად განყოფილების უფროსის, ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა. აგრეთვე, საშტატო ნუსხაში განყოფილებების დასახელებები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ სტრუქტურასთან, კერძოდ, „მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილება“ განისაზღვრა სახელწოდებით „მუნიციპალური ქონების განკარგვის განყოფილება“, ხოლო „მუნიციპალური ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება“ განისაზღვრა სახელწოდებით „მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის განყოფილება“. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები ამოქმედდება 2026 წლის 02 მარტს და

იმოქმედებს 2026 წლის 06 მარტამდე, ხოლო წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული ცვლილება ამოქმედდება 2026 წლის 06 მარტიდან.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამ-დებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა,

პროექტის მიხედვით საშტატო ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია 135 საშტატო ერთეულით. მოქმედი საშტატო ნუსხის და დებულების მიხედვით, ბათუმის მერიას ხელმძღვანელობს მერი, რომელსაც ყავს ვიცე-მერი და ორი მოადგილე, ხოლო მერიაშია 8 პირველადი სტრუქტურული ერთეული (სამსახური, ადმინისტრაცია).

მეორადი სტრუქტურული ერთეულები წინამდებარე პროექტით განსაზღვრულია 21 განყოფილებით.

წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად განისაზღვრება მერიის სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზებული სისტემა, მცირდება საშტატო და მეორადი სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა, ზუსტდება უფლებამოსილებათა განაწილება და უზრუნველყოფილია მერიის ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას, ფუნქციათა გადანაწილების გაუმჯობესებას და მერიის საქმიანობის უფრო მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღებით იცვლება თვიური სახელფასო ფონდი და განისაზღვრება - 464 960 ლარით.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მ/შ
მუხრან ჯორბენაძე

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)	თვის ფონდი
1	**მერი**	1	9,600	9,600
2	**ვიცე-მერი**	1	8,000	8,000
3	**მერის მოადგილე**	2	7,200	14,400
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია			-
4	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციის უფროსი	1	5,600	5,600
	იურიდიული განყოფილება		-	
5	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
6	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	4	3,200	12,800
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	4	2,880	11,520
	საქმისწარმოების განყოფილება		-	
8	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
9	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	7	2,880	20,160
	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება		-	
10	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
11	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	3,200	6,400
	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება		-	
12	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5	2,880	14,400
14	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	2,240	2,240
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			
15	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	საბიუჯეტო განყოფილება		-	
16	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
17	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5	3,200	16,000
	საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება		-	
18	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
19	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	3,200	9,600
20	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2,880	8,640
	შესყიდვების განყოფილება		-	
21	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
22	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	3,200	3,200
23	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,560	5,120
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური			
24	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	მუნიციპალური ქონების განკარგვის განყოფილება		-	
25	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
26	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	3,200	3,200
27	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2,880	8,640

28	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,560	5,120
	საკუთრების აღიარების განყოფილება		-	
29	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
30	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
31	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2,560	2,560
	სახელშეკრულებო მონიტორინგის განყოფილება		-	
32	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
33	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	2,880	11,520
34	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	2,240	2,240
	ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახური			
35	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	ეკონომიკური განვითარების განყოფილება		-	
36	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
37	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	2,560	10,240
	საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განყოფილება		-	
38	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
39	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2,560	7,680
	საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილება		-	
40	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
41	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	3,200	3,200
42	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
	მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის განყოფილება		-	
43	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
44	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	3,200	6,400
45	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური			
46	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილება		-	-
47	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
48	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
49	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2,560	7,680
	სპორტის განყოფილება		-	
50	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
51	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	3,200	3,200
52	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2,560	2,560
53	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	2,240	2,240
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური			
54	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილება		-	

55	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
56	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1	3,200	3,200
57	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	3,200	9,600
58	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2,880	2,880
59	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2,560	2,560
	საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილება		-	
60	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
61	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	3,200	12,800
62	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მხატვარი)	1	2,880	2,880
63	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
64	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1	2,560	2,560
65	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმისმწარმოებელი)	1	2,560	2,560
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
66	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილება		-	
67	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
68	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვის განყოფილება		-	
69	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
70	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
71	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,560	5,120
	სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილება		-	
72	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4,480	4,480
73	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
74	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,560	5,120
	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური			
75	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის უფროსი	1	5,600	5,600
76	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	3,200	6,400
77	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	2,880	5,760
	ჯამი	**135**		**464,960**